ა ქ ტ ი

ქ. ქუთაისი 29.11.2021.

სადგურის მოედანი № 3 ა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონული სამმართველოს გარემოსდაცვითი ინსპექტირების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა ინსპექტორმა

და მესამე კატეგორიის უფროსმა სპეციალისტებმა ინსპექტორებმა

და აღნიშნული აქტი

შევადგინეთ შემდეგზე:

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონულ სამმართველოში, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიაღის ეროვნული სააგენტოდან შემოსული N 22/7954; 22.11.2021 წ.(შიდა № DES 4 21 00067387; 22/11/2021) წერილის საფუძველზე, მიმდინარე წლის 29 ნოემბერს განვახორციელეთ, ამავე წერილით წარმოდგენილი მასალებში მითითებული ნედლი მადნის მოპოვების ადგილის შესწავლა/ დათალიერება. ტერიტორია მდებარეობს ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ შქმერის მიმდებარედ. სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 09 ივლისის N 898/ს ბრძანებით შპს,,ტექნოლოჯი 2021''(ს/კ 405470869)-ზე გაცემულია, სასარგებლო წიაღისეული(მაგანუმის) მოპოვების N 10002204 ლიცენზია((ონის მუნიციპალიტეტის სოფელ შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე შქმერის მანგანუმის (უბანი ჭარნათი) შესწავლა-მოპოვება; მიწისა და სამთო მინაკუთვნის ფართობი - 229 120 კვ.მ. ლიცენზიის მოქმედების ვადა 10 წელი, 09.07.2021 წ. დან 10.07.2031 წლამდე.)) მოსაპოვებელი რესურსის რაოდენობა არ არის განსაზღვრული.

შესწავლა/ დათვალიერებას ესწრებოდა და უშუალოდ მონაწილეობას იღებდა შპს,,ტექნოლოჯი 2021''-ის დირექტორი

ტელეფონი დათვალიერების დროს სამუშაოები არ მიმდინარეობდა.

დათვალიერებისას იდენთიფიცირდა დასაწყობებული მანგანუმის შემცველი მადნები (ქვიშის ყოფილ კარიერში) დასაწყობების ადგილის მაკონტურებელი წერტილების (1,2,3,4,1.) GPS კოორდინატებია: 1. X - 0369128, Y – 4705279; 2. X – 0369114, Y – 4705272;

3. X – 0369122, Y – 4705267; 4. X – 0369132, Y – 4705275; მადნის დაყრის საშუალო სიმაღლე - 2,0 მეტრი. მარგანეცის ნედლი მადნის გროვიდან ჩვენს მიერ აღებული იქნა 3(სამი) იდენტური მახასიათებელი სინჯი, დაილუქა თვითოეული სინჯი. ლუქის ნომრებია: 1. CB00056655; 2. CB0005654; 3. CB00056439; აქედან ერთი პაკეტი დალუქული ლუქის ნომრით CB00056439 შესაბამისი მიღება ჩაბარების აქტით ჩაბარდა გიორგი ნინიკაშვილს. ადგილზე ასევე იდენთიფიცირდა GATERPILLAR''- ის მარკის, ,,GAT325D'' მოდელის, მუხლუხა ექსკავატორი ს/კ GATO325DKGBOO411; სახელმწიფო ნომერი - MA-329; რომელიც გაჩერებულია და დგას. დირექტორის ახსნა განმარტებით ექსკავატორი არის ფირმის საკუთრება. მისი განმარტებით ამ ადგილზე დასაწყობებული აქვს, 230 - 250 ტონა მანგანუმის ნედლი მადანი, ხოლო ამდენივე გატანილი აქვს ადგილიდან გასამდიდრებლად.

დასაწყობებული მანგანუმის ნედლი მადანი 250 ტონის ოდენობით, შესაბამისი მიღება - ჩაბარების აქტით, შენახვის მიზნით ჩავაბარეთ გიორგი ნინიკაშვილს. დასაწყობების ადგილიდან სამხრეთის მიმართულებით მეწარმემ მიგვითითა ადგილი სადაც მისი ახსნა განმარტებით გაიყვანა 8(რვა) შურფი ამოიღო მანგანუმის ნედლი მადანი და შემდეგ განახორციელა ადგილის ტექნიკური რეკულტივაცია.

რეკულტივირებული ადგილის მაკონტურებელი წერტილების (1,2,3,4, 5,6,7,8,9,10, 1.) GPS კოორდინატებია: 1. X - 0368657, Y – 4705127; 2. X – 0368637, Y – 4705125; 3. X – 0368622, Y – 4705102; 4. X – 0368608, Y – 4705079; 5. X - 0368623, Y – 4705067; 6. X – 0368619, Y – 4705025; 7. X – 0368651, Y – 4705031; 8. X – 0368708, Y – 4705085; 9. X - 0368717, Y – 4705115; 10. X – 0368700, Y – 4705135; ადგილი წარმოადგენს დაბალ მოვაკებულ ბორცვს, რომელსაც ეტყობა ჯერ გადახსნის და შემდეგ შევსების კვალი. ტერიტორია ისე არის მოსწორებული, რომ ზედაპირზე კლდოვანი ქვის ნატეხებიც არ ფიქსირდება. შეინიშნება მხოლოდ მანგანუმის ე/წ ,,მწვარი''- დაახლოებით 10 სანტინეტრიანი ზომის ნატეხები. ტერიტორიაზე არსად არ ფიქსირდება შურფების გაყვანის კვალი და დირექტორმა ვერ მიგვითითა კონკრეტული ადგილი სადაც გაყვანილი ჰქონდა შურფი. სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოდან შემოსული მასალების შესაბამისად(ფოტომტკიცებულებები, აქტი და სხვა)ჩენს მიერ აგეგმილ უკვე რეკულტივირებულ კონტურში , გაყვანილია გამჭრელი ტრანშეა, რომელიც დასულია მადნიან ფენაზე, მადნიანი ფენა მოხსნილი და ადგილიდან გადატანილია. მადნის გატანის შემდგომ განხორციელებულია ადგილის ტექნიკური რეკულტივაცია.

ჩვენს მიერ დაფიქსირებული იქნა კიდევ ერთი რეკულტივირებული ადგილი, რომლის GPS კოორდინატია: 1. X - 0368776, Y – 4705246; თუმცა ეს ადგილი სამმართველოს მიერ აგეგმილი იქნა 2020 წლის ოქტომბერში, რის შედეგადაც

გამოვლენილი იქნა შპს,,გრანიტი 2014''-ს (ს/კ421270528) მიერ წიაღის უკანონო სარგებლობის ფაქტი. ახალი გამონამუშევარი ან/და ახალი რეკულტივაციის კვალი არ შეინიშნება.

შპს ,,ტექნოლოჯი 2021''-ის (ს/კ 405470869) დირექტორს
ჩამოერთვა წერილობითი ახსნა განმარტება, სადაც მან განაცხადა, რომ მის მიერ გაყვანილ შურფებიდან, მოპოვებული და გატანილი, აქვს 500 ტონა მანგანუმის ნედლი მადანი, რომლის ნაწილიც 230-250 ტონა დასაწყობებული აქვს ზემოთ აღწერილ ტერიტორიაზე. მან ასევე განაცხადა, რომ წარმოადგენს ყველა დოკუმენტს, რომელიც მას აძლევს განხორციელებული და ჩატარებულ სამუშაოების უფლებას. გადაღებულია ადგილზე სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები.